

მზერა: ქვიარ რეპრეზენტაცია 2000-2019 წლების ქართულ ფილმებში

მამუკა მგალობლიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების
და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეო ხატიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მამუკა მგალობლიშვილი

24.06.2021

აბსტრაქტი

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ქვიარ ადამიანების რეპრეზენტაცია ქართულ კინოში საგრძნობლად გაიზარდა. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება 2000-2019 წლებში გადაღებულ სწორედ იმ ქართულ ფილმებს, სადაც ქვიარ პერსონაჟები გვხვდებიან. კვლევის მიზანია, რომ ამ ფილმების მაგალითზე შეისწავლოს თუ როგორი ურთიერთმიმართება არსებობს კინოთეორიაში განვითარებულ მზერის კონცეპტსა და ქვიარ რეპრეზენტაციას შორის. კერძოდ, ნაშრომი ინტერესდება თუ რა თავისებურებებით ხასიათდება და რა მხატვრული საშუალებებით გამოიხატება მზერა კინოში; როგორია მზერა არაჰეტერონორმატიული პერსონაჟების მიმართ თანამედროვე ქართულ კინოში; და როგორ ხდება დროთა განმავლობაში აღნიშნული პერსონაჟების რეპრეზენტაცია. ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 2000-იანი წლებიდან 2010-იანი წლების დასაწყისამდე ქვიარი პერსონაჟები ქართულ კინოში ძირითადად ეპიზოდურ, კომიკურ, ერთგანზომილებიან, გასართობ ობიექტებს წარმოადგენდნენ. 2010-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი ქვიარ პერსონაჟები კომპლექსურ პროტაგონისტებად მოგვევლინნენ, რომლებიც თავად ფლობენ მზერასა და სუბიექტურობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართული კინო; ქვიარ რეპრეზენტაცია; მზერა; ქვიარ კინო.

Abstract

The representation of queer people in Georgian cinema has increased significantly in the last couple of years. This master thesis explores the Georgian films produced between 2000 and 2019 where queer characters are present. The goal of the research is to study the interrelation between the concept of gaze developed in the theory of cinema and queer representation in Georgian movies. Particularly, this study takes a closer look into the characteristics and artistic expressions

of gaze in the cinema; it explores what sort of gazes exist towards nonheteronormative characters in the modern Georgian cinema and how these characters are represented over the course of time. Our analysis showed that from 2000 to early 2010s queer characters in Georgian films are mainly episodic, comical, one-dimensional, funny objects. Though, in the late 2010s, the queer characters have turned into sophisticated protagonists who by themselves own the gaze and subjectivity.

Keywords: Georgian cinema; Queer representation; Gaze; Queer cinema.